პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 155 (12069) | სამშაბათი, 11 ივლისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

მოსკოვის II საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეთა

საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პირადად ჩემი-სახელით გულითადად მივესალმები მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს!

საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში იხსნება, დიდი მოვლენაა ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში.

კინოს ხელოვნებას ადამიანთა გულსა და გონებაზე ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. ყოველი კარგი ფილმი ღრმად აღელვებს და ახარებს, ცხოველ გამოხმაურებას პოულობს მილიონობით მაყურებლის გულში, ეხმარება მათ კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის ბრძოლაში.

ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ჩვენს საუკუნეში, როცა ყველა პატიოსანი და მოაზროვნე ადამიანი აერთიანებს ღონისძიებებს, იბრძვის იმისათვის, რომ არც ჩვენმა თაობამ, არც მომავალმა თაობებმა არ განიცადონ ახალი ომის საშინელებანი.

კინოს ხელოვნებას ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის, მაღალი მორალური პრინციპების დამკვიდრებისათვის, აი ამიტომ მოსკოვის კინოფესტივალის დევიზი „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“ კეთილშობილური დევიზია.

შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ მოსკოვის კინოფესტივალ[illegible] დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს [illegible] რული ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში, [illegible] მხატვრულ ღირებულებათა გაცვლის გაფართოებაში, კინოხელოვნების ყველა მოღვაწის ღონისძიებათა გაერთიანებაში, მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში.

მხურვალედ ვუსურვებ კინოს მოღვაწეებს ახალ წარმატებებს აღმაფრთოვანებელ, მართალ ნაწარმოებთა შექმნაში, რომლებიც გამსჭვალული იქნება მისწრაფებით მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და ბედნიერებისადმი.

1961 წლის 9 ივლისი.

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, 1961 წლის 9 ივლისი. სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღესასწაული ტუშინოში. სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის მთავრობის ტრიბუნაზე. ფოტო ვ. ვოლოდკინისა და ა. პახომოვისა.

საბჭოთა კავშირის მძლავრი ფრთები

საჰაერო პარადი ტუშინოს აეროდრომზე

ავიაცია ჩვენი ხალხის საყვარელი ქმნილებაა, მისი სიამაყე და დიდებაა. სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის ტრადიციული დღე — ეს არის ნამდვილად საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. საავიაციო სპორტსმენების გამარჯვებათა, საბჭოთა ცის მპყრობელთა დამცველების წარმატებათა, სამოქალაქო ავიაციის, საავიაციო მრეწველობის, კონსტრუქტორების, ინჟინრებისა და მუშების მიღწევათა დათვალიერება.

წლევანდელ წელს შეიძლება საქართველოანად ვუწოდოთ ისტორიული წელიწადი. ჩვენი ქვეყნის მოქალაქე მაიორი ი. ა. გაგარინი მსოფლიოში პირველად ავიდა კოსმოსში და მოახდინა დედამიწის გარშემო ფრენა. უბრალო საბჭოთა მფრინავის ეს დიდი გმირობა სამუდამოდ ჩაიწერა კაცობრიობის ისტორიაში.

ბევრი სასახელო საქმე განახორციელეს ჩვენმა სპორტსმენმა მფრინავებმა, ვერტმფრენთა მფრინავებმა, პლანერისტებმა, პარაშუტისტებმა, ავიამოდელისტებმა. მათ 182 მსოფლიო რეკორდი ეკუთვნით.

საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედების შრომას ეწევიან და კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ გეგმებს ახორციელებენ, არ ავიწყდებათ, რომ საჭიროა განამტკიცონ სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თავის სიტყვაში მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებაზე დიდი სამამულო ომის დაწყების მე-20 წლისთავის გამო ამბობდა: „საჭიროა, ისევე როგორც წინათ, დაუცხრომლად ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც დგანან ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა, სოციალიზმის მონაპოვართა საფარაჯოზე. ჩვენი შეიარაღებული ძალები ყოველთვის მზად უნდა იყონ საამედოდ უზრუნველყონ საბჭოთა კავშირის უშიშროება, ჰქონდეთ ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა დაუყოვნებლივ გაანადგურონ ყოველი მოწინააღმდეგე, რომელიც ხელყოფს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას“.

საჰაერო პარადი, რომელიც 9 ივლისს გაიმართა მოსკოვში, ტუშინოში, სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად, საბჭოთა ავიაციის ძალისა და ძლიერების დიდებული დღესასწაული იყო.

...ტუშინოს აეროდრომისაკენ მიმავალი მაგისტრალები გაფერადებული იყო ალმებით, ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით. ლამაზად მორთულია თვით აეროდრომი, ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის შენობა.

საფრენი ველის სექტორებში ასეულ ათასობით მაყურებელია. განსაცვიფრებელი სილამაზის პანორამაა! ზღვა ხალხით აივსო უზარმაზარი სივრცე.

აეროკლუბის ბრტყელ სახურავზე და სპეციალურ ტრიბუნებზე არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების ოსტატები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, საზოგადო მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

დღესასწაულს ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, უცხო სახელმწიფოთა სამხედრო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ატაშეები, ბევრი უცხოელი სტუმარი.

დილის 10 საათია. აეროკლუბის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი, დ. ს. პოლიანსკი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი. მათთან ერთად ტრიბუნაზე არიან ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ჟივკოვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. მაროზანი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. აპრო, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. ბისკუ, საბჭოთა კავშირის მარშლები და ავიაციის მარშლები, ადმირალები, საავიაციო ტექნიკის კონსტრუქტორები, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი ი. ა. გაგარინი. შეკრებილნი მათ მჭუხარე ტაშით მიესალმებიან.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან აგრეთვე ეკავდორის ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი კარლოს ხულიო აროსემენა, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კ. პოპოვიჩი და მათი თანმხლები პირები.

საფრენი ველის ყველა კუთხეში რადიოთი გაისმა კრემლის კურანტების ხმა. ისმის ფანფარების სიგნალი „ისმინეთ ყველამ“. მისწყდა თუ არა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული მელოდია, იგრიალა საარტილერიო სალუტმა.

ჰაერში გამოჩნდა 44 თვითმფრინავი იაკ-18. თვითმფრინავებმა წყობილებით წარმოქმნეს სახელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისა — **ლენინი.** ეს გააფერადა ფეიერვერკმა, რომელიც თითქოს გარს არტყია თვითმფრინავებს.

იწყება ვერტმფრენთა განყოფილება. წინ არიან მედროშე ვერტმფრენები. მათ მოაქვთ სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების, სამხედრო-საჰაერო ძალების, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ალმები. მანქანებს ქვეშ კიდულ ბაქნებზე არიან საბჭოთა სამშობლოს მოძმე ხალხთა ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი ქალიშვილები.

მარჯვნიდან ახლოვდება ვერტმფრენთა კიდევ ერთი კოლონა; პარადზე ისინი ნათლად უჩვენებენ, თუ როგორ მიმდინარეობდა კოსმოსის დაპყრობა. ვხედავთ საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების მოდელებს. აი კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთის“ კაბინის მაკეტიც ი. ა. გაგარინის პორტრეტით. გაისმის ტაში, მისასალმებელი შეძახილები იმ მეცნიერთა, ინჟინერთა, მუშათა პატივისცემად, რომლებიც შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს რაკეტული მრეწველობის განვითარებაში.

მაყურებლები ხედავენ, რომ აკრობატი სპორტსმენები 50 მეტრ სიმაღლეზე ვერტფრენების ქვეშ ასრულებენ ვარჯიშს რგოლებსა და ტრაპეციებზე.

პროგრამის შესრულების დროს მწვანე ველზე დაჯდა ხუთი ვერტმფრენი მი-1. ვერტმფრენებიდან გამოვიდნენ მფრინავი ქალიშვილები, პლანერისტები და პარაშუტისტები ყვავილთა თაიგულებით. ისინი ღია მანქანებით წავიდნენ აეროკლუბის შენობისაკენ. ქალიშვილებმა ყვავილთაგან შეიმუშავეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, შემდეგ ისინი ავიდნენ ცენტრალურ ტრიბუნაზე და თაიგულები გადასცეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას, სიმტკიცესა და უნარიანობას მოიოხოვს ორი სსპორტო თვითმფრინავის (იაკ-18 II „თავი თავზე“) ფრენა. ერთი თვითმფრინავი მოდის ნორმალური მდგომარეობით, მეორე — გადაბრუნებული. ეს ფრენა უჩვენეს კიეველმა ვ. მ. ვოლოვენმა და მინსკელმა ვ. ა. ოვსიანკინმა. მათ ოსტატობაში შეეცილნენ მინსკის აეროკლუბის სპორტსმენები (ჯგუფის მეთაური ა. ნ. სტუდენოვი), რომლებმაც „რომბის“ წყობილებაში ოთხი თვითმფრინავით უმაღლესი პილოტაჟის რამდენიმე ფიგურა შეასრულეს. ჩართეს ტრასერები. ვარდისფერი კვამლის ტრასა მიჰყვებოდა თვითეულ თვითმფრინავს. პილოტაჟის თითქმის ყველა ფიგურას მფრინავები ფრენაში თავდაყირა ასრულებდნენ.

დამსწრეებმა ნახეს ტურბინრეაქტიული და ტურბინხარხანები სამგზავრო ჩქარი მრავალადგილიანი თვითმფრინავების „საზეიმო მარში“. კოლონას მეთაურობდა მსოფლიოში ყველაზე დიდი თვითმფრინავი ტუ-114. მას პილოტობდა ა. კ. ვიტკოვსკი, რომელსაც არაერთხელ მოუხდენია შორი რეისები, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში. რგოლებად სამ-სამმა გადაუფრინეს აეროდრომს თვითმფრინავებმა ტუ-124, ტუ-104, ილ-18, ან-10, ან-24. კოლონას ამთავრებდა თვითმფრინავი — ამფიბია.

როგორც ყოველთვის საჰაერო პარადებზე, ამჯერადაც მთელი განყოფილება დაიკავეს პარაშუტისტებმა (ხელმძღვანელები ავიაციის მარშალი ნ. ს. სკრიპკო და გენერალ-პოლკოვნიკი ი. ვ. ტუტარინოვი). საპარაშუტო სპორტის საბჭოთა ოსტატებს წამყვანი მდგომარეობა უჭირავთ. მათ ეკუთვნით 56 მსოფლიო რეკორდი. მარტო შარშან მათ დაამყარეს 10 მსოფლიო რეკორდი, ამასთან ეკიპაჟმა პ. ოსტროვსკის, ნ. ანიკეევის, ვ. რაევსკისა და ო. კაზაკოვის შემადგენლობით პირველობა მოიპოვა მეზეთე მსოფლიო ჩემპიონატში. საინტერესოა, რომ ყველაზე მეტი ხტომა — სამი ათასზე მეტი — მოახდინეს საბჭოთა პარაშუტისტებმა ვ. რომანიუკმა და ი. საკანმა.

ცაში ტუშინოს თავზე სამმა პარაშუტისტმა გადმოხტომა შეასრულა ჰაერში ორი გუმბათის მოხსნით, რვა სპორტსმენმა პარაშუტების გახსნის ოცწამიანი დაყოვნებით და სხვ.

განსაცვიფრებელ სანახაობას წარმოადგენდა დესანტი 30 მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავიდან. თვითმფრინავები მოდიოდნენ დიდი სიჩქარით, მოკლე ინტერვალებით. რამდენიმე იარუსად ეშვებოდნენ პარაშუტისტები. გეგონებოდათ, გაიფურჩქნა ყვავილები — წითელი, მწვანე, ლურჯი, ირისფერი, ყვითელი, თეთრი, ნარინჯისფერი... ასობით მედესანტე მარდად დაეშვა მიწაზე, რომელიც აბრეშუმის ქსოვილებით მოიფინა.

სამხედრო განყოფილება (ხელმძღვანელი ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ე. მ. გორბატიუკი) მთავარი იყო საჰაერო პარადზე. ახალმა სამხედრო თვითმფრინავებმა სიამაყისა და აღტაცების გრძნობები გამოიწვია საბჭოთა ადამიანებში.

მცირე სიმაღლეზე მოახლოვდა ზებგერითი რეაქტიული ავიაგამანადგურებელი. 1-ლი კლასის სამხედრო მფრინავი მაიორი ვ. ნ. შვეცოვი ნისტერორის მარყუჟს აკეთებს. პიკირებაზე შემოტრიალებაა 180 გრადუსი. გორაკის კუთხეა 90 გრადუსი. შემოტრიალება გორაკზე. ძლივს ასწრებ თვალი მიადევნო ავიაგამანადგურებელს, ისე სწრაფად ასრულებს ფიგურების კასკადს.

ოთხი ასეთივე ავიაგამანადგურებლის უმაღლესი ჯგუფური პილოტაჟი უჩვენეს მფრინავებმა ჰოდპოლკოვნიკ ვ. მ. ფოკინის მეთაურობით. „რომბის“ წყობილებაში თვითმფრინავები გორაკს ასრულებდნენ. წამი, და ისინი, გრძივი ღერძის ირგვლივ ტრიალით გულალმა გადაბრუნდებოდნენ ხოლმე. სწრაფად

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საჰაერო პარადის მონაწილეთა დარბაზობა

მოსკოვი, 10 ივლისი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საჰაერო პარადის მონაწილეთა დარბაზობა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად. დარბაზობა მოაწყეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარმა სამმართველომ.

დარბაზობაზე იყვნენ მფრინავები, პლანერისტები და პარაშუტისტები, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები, რეკორდსმენები, აგრეთვე ცნობილი საავიაციო კონსტრუქტორები.

შეკრებილნი მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ფ. რ. კოზლოვს, დ. ს. პოლიანსკის, ნ. ს. ხრუშჩოვს, განის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობის მეთაურს დოქტორ კვამე ნკრუმას და მის თანმხლებ პირებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი და კვამე ნკრუმა გულთბილად ესაუბრნენ საბჭოთა კავშირის მარშლებსა და ავიაციის მარშლებს, ავიაკონსტრუქტორებს, მფრინავებს, პარადის მონაწილე ქალებს.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და კვამე ნკრუმას სადღეგრძელოებს დამსწრენი შეხვდნენ ტაშით. მისალმების შეძახილებით საბჭოთა კავშირისა და განის რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის პატივსაცემად.

დარბაზობამ განსაკუთრებით გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა

საბჭოთა კავშირ-კორეის ერთობლივი კომუნიკე

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 29 ივნისიდან 10 ივლისამდე საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი.

დელეგაციის ყოფნის დროს მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება ორივე ქვეყნის პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელებს შორის. საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ნ. ს. ხრუშჩოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი და სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი; კორეის მხრივ — კიმ ირ სენი და დელეგაციის წევრები.

მოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა შეხედულებათა ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე და ურღვევობა სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის კავშირისა, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ურთიერთდახმარებისა და თანასწორუფლებიანობის ურყევი პრინციპები.

ორივე მხარემ კვლავ დაადასტურა ერთსულოვანი მისწრაფება, რომ კიდევ უფრო გააფართოონ სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ყოველმხრივი კავშირი და მჭიდრო თანამშრომლობა, რაც წარმატებით ვითარდება და რაც ხავსებით შეესაბამება ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს და ხელს უწყობს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას შორეულ აღმოსავლეთში.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმაზე, რომ საბჭოთა კავშირმა ტექნიკური დახმარება გაუწიოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაში. სსრ კავშირის მთავრობამ კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას მისცა შეღავათიან პირობებში გრძელვადიანი კრედიტი საბჭოთა ორგანიზაციების იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც გაწეულ იქნება შეთანხმებით გათვალისწინებული ტექნიკური ხელშეწყობის განხორციელებისათვის. ხელმოწერილ იქნა აგრეთვე შეთანხმება, რომ სსრ კავშირმა დამატებით მიაწოდოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას 1962-1965 წლებში მთელი რიგი საქონელი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაჩნიათ, რომ კორეის მშვიდობიანი გაერთიანება უწინარეს ყოვლისა თვით კორეელი ხალხის საქმეა და რომ კორეის საერთო საკითხების მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ მოლაპარაკების გზით ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენლებს შორის. საბჭოთა მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის კონფედერაციის შექმნის შესახებ.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს კორეელი ხალხის იმ სამართლიან მოთხოვნებს, რომ ამერიკელებმა გაიყვანონ თავიანთი ჯარები სამხრეთ კორეის ტერიტორიიდან. ამერიკელი იმპერიალისტების მიერ სამხრეთ კორეის ოკუპაცია ახლა მთავარი დაბრკოლებაა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე.

ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი დამჭაშვების განზრახვა, რომ კოლონიზატორული წესწყობილება გაავრცელონ კორეის მთელ ნახევარკუნძულზე, განწირულია ჩასაფშვავად.

სსრ კავშირმა და კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დადეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო განავითარონ და განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის, დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობა და უშიშრობა შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა მკვეთრ აღმავლობას განიცდის. სწრაფი ტემპებით ვითარდება სოციალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობა.

კორეის მხარემ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, და განაცხადა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მიესალმება და იწონებს სსრ კავშირის პოზიციას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგების საკითხში, აგრეთვე სხვა საკითხებში, რომლებიც განხილულ იქნა ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის ვენის შეხვედრის დროს. მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა შემდგომი მეცადინეობა, რათა გადაიჭრას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები და უწინარეს ყოვლისა საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა.

მშვიდობის საქმისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საქმიანობა ამერიკელი იმპერიალისტების მეცადინეობით შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკისა — სეატოსი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იმპერიალისტური აგრესიის იარაღია. სსრ კავშირი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა გადაჭრით გმობენ მტრულ პოლიტიკას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ახორციელებენ. სსრ კავშირი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იმ მოთხოვნებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი აიღონ ამ აგრესიულ პოლიტიკაზე, რომელსაც ძმიმე შედეგები მოსდევს მშვიდობის საქმისათვის. სსრ კავშირი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა გულგრილად ვერ მოეკიდებიან იმ ფაქტს, რომ ამერიკის ჯარები ახორციელებენ იაპონიის ოკუპაციას და რომ ამერიკას შეერთებული შტატებისა და იაპონიის მმართველმა წრეებმა დადეს სამხედრო შეთანხმება, რომელიც გამიზნულია მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

დელეგაციის მოსკოვში ყოფნის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება სკკპ და კორეის შრომის პარტიის საქმიანობის, მათი ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საკითხებზე. ყველა განხილულ საკითხზე სკკპ და კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელებს შეხედულებათა სრული ერთიანობა აქვთ. ორივე მხარე დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1960 წლის თათბირის შედეგად მოძმე პარტიები, მთელი სოციალისტური ბანაკი კიდევ უფრო მჭიდროდ შეიკავშირდნენ მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშით, განმტკიცდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სოლიდარობა.

კორეის შრომის პარტიას მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია, რომ სკკპ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული ავანგარდია. სკკპ და კორეის შრომის პარტიას თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ განუხრელად იბრძოლონ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საბრძოლო ერთიანობისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ საფუძველზე და განუწყვეტლივ ზარდონ თავიანთი ქვეყნების მშრომელები ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებით. ისინი ავლაბაც ლენინურად შეურიგებელნი იქნებიან რევიზიონიზმის, დოგმატიზმის, სექტანტობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისაგან გადახვევის ყოველგვარი გამოვლინების მიმართ.

კომუნიკეს ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა პრეზიდენტი კვამე ნკრუმა

მოსკოვი, 10 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით დღეს საბჭოთა დედაქალაქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ სტუმრად ჩამოვიდა განის რესპუბლიკის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე პრეზიდენტი და მთავრობის მეთაური დოქტორი კვამე ნკრუმა. დოქტორ კვამე ნკრუმას ვიზიტი ამის ახალი მკაფიო დადასტურებაა, რომ ვითარდება მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს ხალხებს შორის.

განის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მეთაურს დოქტორ კვამე ნკრუმას შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, ამხანაგები ა. ი. მიქოიანი, ე. ა. ფურცევა და სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე მშრომელთა მრავალი წარმომადგენელ ი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და განის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მთავრობის მეთაურმა კვამე ნკრუმამ ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

საპატიო სტუმარი ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ჯდება ღია მანქანაში და ქალაქისაკენ მიემართებიან. მოსკოვის მრავალი ათეულ ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე განის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მეთაურის შესახვედრად. როცა მანქანების კორტეჟი ლენინის პროსპექტზე მიდიოდა, ყოველი მხრიდან ისმოდა მისალმების შეძახილები საბჭოთა და განელი ხალხების პატივსაცემად, საპატიო სტუმრის პატივსაცემად, საბჭოთა ხელმძღვანელების პატივსაცემად.

სპეკულაციასთან ბრძოლა მთელი საზოგადოებრიობის საქმეა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ადამიანების კულტურისა და შეგნებულობის ამაღლებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება იმ პირებთან ბრძოლის გასაძლიერებლად ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, უქნარებთან, მუქთახორებთან, ყველა ჯურის სპეკულანტებთან ბრძოლის გასაძლიერებლად, ვინც დიდ ზიანს აყენებს ჩვენს საზოგადოებას, ცდილობს იცხოვროს სხვის ხარჯზე.

როგორ წარმოდგებს ბრძოლა ამ ადამიანებთან, რომლებსაც არა სუფთა პატიოსნად იშრომონ, სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას? რა ღონისძიებები ხორციელდება იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ვაჭრობის ორგანიზაცია, ქალაქ თბილისის მშრომელთა მომარაგება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, რომლებიც სპეკულაციის ძირითადი საგანია? — ამ საკითხებს მიეძღვნა თათბირი, რომელიც 10 ივლისს გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკებმა, საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მდივნებმა, რაიალმასკომების თავმჯდომარეებმა, უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ფ. დ. დუმბაძის მოხსენება.

უდიდესი წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის შედეგია. ისწრაფვიან რა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXII ყრილობას, ისინი შთაგონებულად შრომობენ ფაბრიკებში, ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, ქმნიან სახალხო სიმდიდრეს.

მით უმეტეს სამწუხაროა, რომ შესანიშნავ საბჭოთა ადამიანებს შორის გვხვდებიან, ადამიანები, რომლებსაც არა სურთ პატიოსნად იშრომონ, ცხოვრობენ უშრომელი შემოსავლით. მათ რიცხვს ეკუთვნიან სპეკულანტები. განსაკუთრებით აქტიურად საქმიანობენ ისინი საკოლმეურნეო ბაზრებში; გლეხებისაგან იაფ ფასებში ყიდულობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და შემდეგ უფრო მაღალ სპეკულაციურ ფასებში აუდიან და იღებენ დიდ მოგებას. ამის მიზეზია ის, რომ საკოლმეურნეო ბაზრების მუშაკები, მილიციისა და პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად ებრძვიან ასეთ მოვლენებს.

უქნარებს, რომლებიც აკრძალულ საქმიანობას ეწევიან, სპეკულანტებს, რომლებიც უშრომელად იღებენ შემოსავალს, ადგილი არ უნდა ჰქონდეთ საბჭოთა საზოგადოებაში. მათ წინააღმდეგ უნდა გავაჩაღოთ მტკაცე ბრძოლა. მაგრამ მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები უძლურნი აღმოჩნდებიან, თუ არ დაეყრდნობიან მთელი საზოგადოებრიობის მხარდაჭერას. პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოწოდებული არიან დამარება გაუწიონ სასამართლოს, მილიციისა და პროკურატურის ორგანოებს განუხრელად განახორციელონ ღონისძიებანი სპეკულანტებთან, უქნარებთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

ქალაქის ბაზრებში სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სპეკულაციის აღკვეთის ერთ-ერთი საშუალებაა დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება. მათი ამოცანაა მომარაგონ ქალაქი თბილისი საკმაო რაოდენობის ბოსტნეულით, ხილითა და სხვა პროდუქტებით. აღინიშნა, რომ საჭიროა აღმოიფხვრას ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგემ მ. ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით თავისუფლად გრძნობენ თავს სპეკულანტები ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში. ისინი ყიდულობენ და ყიდიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. მაგრამ მილიციის ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ მტკიცედ არ ებრძვიან მათ. საკოლმეურნეო ბაზრების მუშაკებიც არ ეხმარებიან მილიციას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სავაჭრო, საფინანსო და საგეგმო ორგანოების განყოფილების გამგემ პ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა გაფართოვდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა სახელმწიფო სავაჭრო ქსელში.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ყურაშვილმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ცეკავშირი ახორციელებს ახალი ხილითა და ბოსტნეულით ქალაქის მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად. მან დააყენა მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ცეკავშირს იმუშაოს უფრო ენერგიულად და ოპერატიულად.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა მ. ღვინჭილიამ აღნიშნა, თუ რა მუშაობა გასწიეს სავაჭრო ორგანიზაციებმა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ქალაქის მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

სპეკულანტების წინააღმდეგ მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების ბრძოლას, ღონისძიებებს, რომლებიც ამ მიმართულებით ხორციელდება, შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ი. ღარიბაშვილი, ქალაქ თბილისის პროკურორი ა. ტაკაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ე. ტაკაძე, რესპუბლიკის პროკურორი პ. ბერძენიშვილი.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ იოლი გამდიდრების მოყვარულებთან, სპეკულანტებთან ბრძოლა არა მარტო მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოების, არამედ ყველა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საზოგადოებრიობის მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ასეთი ელემენტების გარშემო უნდა ვქმნიდეთ შეურიგებლობის ატმოსფეროს, სამარცხვინო ბოძზე უნდა ვაკრავდეთ მათ. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის აგრეთვე პრესას.

საზოგადოებრიობის ფართო მასები ჩაება სპეკულანტებთან ბრძოლაში საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომმა. ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება გაუზიარა დამსწრეებს საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მეორე მდივანმა თ. ხელაშვილმა.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ს. ჩხარტიშვილმა თათბირის მონაწილეთა მთავარი ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა წარმოებდეს სისტემატური ბრძოლა სპეკულანტების წინააღმდეგ. ეჭვი არ არის, რომ მილიციის, პროკურატურის, სასამართლოსა და მთელი საზოგადოებრიობის ერთობლივი გადამწყვეტი მოქმედება დადებით შედეგს მოიტანს.

სპეკულანტების წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ბ. ჩხეიძემ.

შეუწყნარებელია, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები განზე უდგანან სპეკულაციასთან ბრძოლის საქმეს, აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. კვაჭაძემ. მარტო ადმინისტრაციული ღონისძიებანი საკმარისი არ არის. ბრძოლა უნდა წარმოებდეს ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კონტაქტით. ამასთანავე ადმინისტრაციული ორგანოები უნდა მოქმედებდნენ უფრო ენერგიულად. ფორმალობით გატაცების გამო არ უნდა ამეიანურებდნენ სპეკულაციის საქმეების გადაწყვეტას.

თათბირის შედეგები შეჯამა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. დუმბაძემ. (საქდესი).

მოსკოვის კინოფესტივალის მონაწილენი

რიტა ლიმონტა, კუბელი მსახიობი.

ტატიანა სამოილოვა, კინომსახიობი (სსრკ).

ელიზაბეტა ტეილორი, კინომსახიობი (აშშ).

კინოხელოვნების დღესასწაული

მოსკოვი, 9 ივლისი. (საკდესი). უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მოსკოვი მეორედ ხდება კინოს დედაქალაქი. მან მტკიცედ დიაკავა თავისი ადგილი ტრადიციული საერთაშორისო დღესასწაულების სახელგანთქმული ქალაქების — კანის, ვენეციის, კარლოვი ვარის გვერდით, მსოფლიოს ორმოცდათაზე მეტი ქვეყანა გახდა მოსკოვის ფესტივალის მონაწილე. კვლავ — ამჯერად ახალი თეატრის „რუსეთის“ უზარმაზარ ეკრანზე მთელი სილრმე-სიგანითა და მრავალფეროვნებით წარსდგება მაყურებელთა წინაშე მსოფლიოს დღევანდელი დღე, უბრალო ადამიანთა სიხარული და მწუხარება, იმედები და მისწრაფებები. ამ იმედებსა და მისწრაფებებს სავსებით შეესაბამება ფესტივალის დევიზი — „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“.

კინოხელოვნების მოსკოვის ფორუმის იდეები დიდ ინტერესს იწვევენ, პოპულარულს ხდიან მას. ასობით ოსტატი — კინორეჟისორები, სცენარისტები, მსახიობები, კრიტიკოსები ჩამოვიდნენ ამ დღეებში საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, სასტუმრო „მოსკოვის“ ფასადზე ფრიალებენ ფესტივალის მონაწილე ქვეყნების სხვადასხვა ფერის ალმები. აქ, ქალაქის ცენტრში, იწყება დღესასწაული, მანეჟის მოედანზე ფერადი სტენდებია, მძიღვნილი სხვადასხვა ქვეყნის ფილმებისადმი.

მრავალათასიანი კინოდარბაზი გახდა ამ დღეს სპორტის სასახლე. სცენაზე ფესტივალის დევიზია გამეორებული ექვს ენაზე: „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“

საღღესასწაულოდ მორთულ დიდ სცენაზე არიან მსოფლიოს ყველა კონტინენტის კინოს მრავალრიცხოვანი მოღვაწეები, მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ფესტივალის გახსნაზე მოვიდნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი,** რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

მეორე საერთაშორისო კინოფესტივალისადმი მიძღვნილ სახვიმო საღამოს ხსნის ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე რეჟისორი **ს. ი. იუტკევიჩი.**

მოსკოვის მეორე საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობენ 51 ქვეყანა და სამი საერთაშორისო ორგანიზაცია, თქვა ს. ი. იუტკევიჩმა. შემთხვევითი როდია, რომ ეს შეხვედრა მიმდინარეობს მოსკოვში — მსოფლიოს ყველაზე მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს დედაქალაქში. ჩვენი მთავრობის და მისი მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის დაუღალავი ღონისძიებანი, ღონისძიებანი მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ხომ ფართოდ ცნობილია და მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მილიონობით ადამიანის გულში.

დაე ამ საერთაშორისო შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაადასტუროს, თუ რა ბევრი რამის გაკეთება შეუძლია კინოხელოვნებას კაცობრიობის წინაშე ამჟამად მდგომი ყველაზე კეთილშობილური მისიის — მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მისიის განხორციელებაში.

ს. ი. იუტკევიჩი სიტყვას აძლევს სსრ კავშირის კულტურის მინისტრს **ე. ა. ფურცევას,** რომელმაც გულწრფელი მადლობა გადაუხადა ფესტივალის სტუმრებს და ყველას, ვინც ფესტივალს გამოეხმაურა.

კინო დროის დიდი მეამატიანეა, და თუ ყოველდღე თვალყურს ვადევნებთ ფირზე აღბეჭდილ ამბებსა და მოვლენებს, ჩვენს წინაშე წარმოისახება მშვენიერი მოთხრობა ხალხთა ცხოვრების და ბედის შესახებ, ამბობს ე. ა. ფურცევა, მე ვფიქრობ, რომ სიერთო აზრს გამოთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ყველა ხალხის ცხოვრებაში მთავარი და საერთო იყო და იქნება მისწრაფება ბედნიერებისა და მშვიდობისადმი დედამიწაზე.

ამ დღეებში ხელოვნების ყველა მოღვაწის წინაშე ახალი ძალით დგება დიდი ჰუმანისტის მაქსიმ გორკის კითხვა: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?“.

მხატვრის სინდისი, ხალხისა და ისტორიის წინაშე თავისი პასუხისმგებლობის შეგნება მოითხოვს, რომ ხელოვნება ემსახურებოდეს მშვიდობას და ადამიანის დაცვის ჰუმანისტურ იდეალებს.

ამხ. ფურცევა ამბობს, რომ საბჭოთა კინემატოგრაფისტებისა და მთელი სოციალისტური ბანაკის კინოს მოღვაწეებისათვის ჰუმანიზმისა და მშვიდობისმოყვარეობის იდეები მთელი მათი შემოქმედებითი ძიების მტკიცე საფუძველია, საბჭოთა კინემატოგრაფიის ოსტატებს თავიანთ მაღალ მოწოდებად მიაჩნიათ ადამიანისადმი სამსახური, ის, რომ სახელი გაუთქვამ მის შემოქმედებითს შრომას, წარმოსახონ ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო, ფრთა შეასხან მის კეთილშობილურ მისწრაფებებს.

ე. ა. ფურცევა აღნიშნავს, რომ იმ სახელმწიფოებთან ერთად, რომლებსაც დიდად განვითარებული კინემატოგრაფია აქვთ და ტრადიციულად მონაწილეობენ საერთაშორისო ფესტივალებში, მოსკოვის ფესტივალზე წარმოდგენილია აფრიკისა და აზიის ბევრი ქვეყანა, რომლებსაც ჯერ არა აქვთ დიდი კინომრეწველობა, მაგრამ უთუოდ ექნებათ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ფესტივალის დღეები მოსკოვში ყველა ჩვენი სტუმრისათვის იქნება მეგობრული შეხვედრების სასიამოვნო დღეები, ხელს შეუწყობს მათ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და გამდიდრდნენ გამოცდილებით ახალი შემოქმედებითი საქმეებისათვის.

მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალი

ე. ა. ფურცევამ საბჭოთა მთავრობის დავალებით წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის მისალმება მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებისადმი.

მიესალმა რა ფესტივალის სტუმრებს მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სახელით, აღმასკომის თავმჯდომარემ **ნ. ი. ბობრავნიკოვმა** უსურვა მათ დიდი წარმატებანი მსოფლიო კინოხელოვნების შემოქმედებითი დათვალიერების მოწყობაში.

კინოპროდიუსერთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის სახელით მისმა პრეზიდენტმა **ა. უოტკინსმა** წარმატება უსურვა ამ დიდ ფესტივალს.

დადგენილი ტრადიციით დღესასწაულის ალმის აღმართვის უფლება ენიჭებათ წარსული ფესტივალის გამარჯვებულებს — საბჭოთა მსახიობსა და რეჟისორს ს. ბონდარჩუკს და ვიეტნამელ კინომსახიობს ნგოკ ლანს.

მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა. პირველ საღამოს მაყურებლებმა ნახეს საბჭოთა დოკუმენტური ფილმი „პირველი რეისი ვარსკვლავებისაკენ“ — კოსმოსურ ხომალდ „აღმოსავლეთით“ ი. გაგარინის ფრენის შესახებ, სრულმეტრაჟიანი ინგლისური ფილმი „შაბათ საღამოს, კვირა დილით“, ჩინური მულტიპლიკაციური, პოლონური დოკუმენტური და საბჭოთა მოკლემეტრაჟიანი კინოსურათები.

მეგობრობის ფესტივალი

ჩვენი ინტერვიუ

ახლა მთელი მსოფლიოს კინომოყვარულთა ფიქრები მოსკოვისაკენ არის მიმართული, მოსკოვში მოიყარეს თავი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კინომსახიობებმა, კინოდრამატურგებმა, რეჟისორებმა, სცენარისტებმა.

მოსკოვი ამ დღეებში მსოფლიო კინოს დედაქალაქად იქცა.

თავისი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები გამოგზავნეს ფესტივალზე მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა, ფართოდ არის წარმოდგენილი ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, იაპონიის და სხვა ქვეყნების კინოხელოვნება.

კინოფესტივალი კიდევ უფრო დააახლოვებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს, ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ლეილა აბაშიძე,

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი

სულით და გულით მივესალმები მოსკოვის მეორე საერთაშორისო ფესტივალს.

განუზომლად დიდია მისი მნიშვნელობა და როლი ხალხთა დაახლოებისა და მშვიდობის დაცვის საქმეში.

ფესტივალის მონაწილენი გულითადი გრძნობით გაუზიარებენ ერთმანეთს თავიანთ შთაბეჭდილებებსა და მომავლის გეგმებს. იქნება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი, რაც ხელს შეუწყობს კინოხელოვნების შემდგომ აღმავლობას.

სერგო ზაქარიაძე,

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალს.

კინოფესტივალზე ჩამოვლენ სხვადასხვა ქვეყნების გამოჩენილი კინორეჟისორები, კინოდრამატურგები, სცენარისტები, ცნობილი კინოვარსკვლავები, ამავე დროს ახალგაზრდა პროგრესული მიმართულების ძალები, რომლებიც თავის სიტყვას იტყვიან.

საფესტივალო დღეები მეტად გამოცოცხლებული, მჩქეფარე და საინტერესო იქნება.

მაგრამ ჩვენი ფესტივალის მნიშვნელობა რომელიმე კინოგარსკვლავის ირ[illegible] მნიშ[illegible]

საბჭოთა კავშირის მძლავრი ფრთები

(დასასრული)

მოფრინავდნენ ქვემოთ, შემდეგ კი მანქანები კვლავ მაღლა ადიოდნენ და ამთავრებდნენ ნესტეროვის მარყუჟს. ჯგუფური პილოტაჟი ძალიან რთულია. მაგრამ ჩვენმა ავიატორებმა იგი ჩინებულად შეასრულეს. ტყუილად როდი შეიტანეს დიდი წვლილი უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების შემუშავებასა და სრულყოფაში საბჭოთა კავშირის მფრინავებმა.

ფოკინის ჯგუფს თითქოს ეჯიბრებოდნენ მფრინავები, რომლებსაც პოლკოვნიკი პ. ფ. მინტურეროი, პოდპოლკოვნიკი ს. მ. პეროვსკი და მაიორი გ. ვ. ბარიჩევი ხელმძღვანელობდნენ. როცა მათ უყურებდით, გეგონებოდათ, თვითმფრინავები ერთიმეორეს გადაბმული იყო უხილავი ძაფით.

აეროდრომზე შეკრებილთა ყურადღება მიიპყრეს რაკეტმზიდმა თვითმფრინავებმა. პირველი მოდიოდა მძიმე ტურბინჭრახნიანი ხომალდი, რომელსაც თან ახლდა შვიდი ავიაგამანადგურებელი. იგი მოუძღოდა სპაერო გოლიათების რამდენიმე კოლონას. ფლაგმანს პილოტობდა პოდპოლკოვნიკი ა. ი. კრაკოვი. თვითეული მანქანის ფიუზელაჟის ქვეშ დაკიდებულია მძლავრი რაკეტები. ისინი უზრუნველყოფენ ხმელეთის სამიზნეთა განადგურებას თვითმფრინავიდან მნიშვნელოვან მანძილებზე. ეს შესაძლებლობას აძლევს თვითმფრინავებს არ შევიდნენ მოწინააღმდეგის რაკეტულ საჰაერო თავდაცვის ზონაში.

მოდის რაკეტმზიდი ავიაციის ახალი კოლონა. იგი მოჰყავს პირველი კლასის სამხედრო მფრინავს გვარდიის პოდპოლკოვნიკ ვ. მ. დუბინას, რომელმაც დიდი სამამულო ომის წლებში ფაშისტთა 11 ხომალდი ჩაძირა. რაკეტმზიდების უახლესი მოწყობილობა შესაძლებლობას აძლევს მფრინავებს დაინახონ სამიზნე უზარმაზარ მანძილზე. ამ თვითმფრინავებს ქვეშ არის რაკეტები, რომლებსაც შეუძლიათ მოწინააღმდეგის ყოველი ობიექტი მოსპონ ასობით კილომეტრ დისტანციაზე.

გაიარეს თუ არა რაკეტმზიდებმა, გამოჩნდა შორი მოქმედების საზღვაო ნავსაწინააღმდეგო ავიაციის რეაქტიული თვითმფრინავების ჯგუფი. ჯგუფის სათავეშია დიდი სამამულო ომის ორნაწილე, ზღვის წყალქვეშა და წყალზედა სამიზნეთა განადგურების ოსტატი პოდპოლკოვნიკი ნ. ი. ანდრიეევსკი. ამ თვითმფრინავებს შეუძლიათ აღმოაჩინონ და მოსპონ წყალქვეშა ნავები საბჭოთა კავშირის ნაპირებიდან დიდ სიშორეზე.

ავიატორთა შეწყობილ მოქმედებაში, რომლებიც პირველხარისხოვანი იარაღით აღჭურვილი რეაქტიული ხომალდებით ფრინავდნენ, იგრძნობოდა მათი ჩინებული სამხედრო გაწვრთნილობა, ავიაციის გაზრდილი საცეცხლე ძალა.

აი კიდევ სამხედრო მანქანების კოლონა! ცაშია უახლესი შორი რეაქტიული რაკეტმზიდები. ჯგუფს მეთაურობს მფრინავი ა. დ. კალინა. თვითმფრინავებს შეუძლიათ იფრინონ სიჩქარით, რომელიც ბევრად აღემატება ბგერის სიჩქარეს. ისევე როგორც მძიმე რაკეტმზიდები, მანქანები „ჰაერი-მიწის“ კლასის რაკეტების მატარებელი არიან.

